



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 155

ქ. თბილისი

24 ნოემბერი 2017წ.

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ
– შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და (TUBITAK) და სსიპ -
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი
წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების
მოზიდვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის ირაკლი გრძელიშვილის სამსახურებრივი
ბარათის (N1438371, 24.11.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პროგრამა და პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსზე პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საქართველოდან პროექტის ხელმძღვანელისა და კვლევითი ჯგუფის წევრების ბიოგრაფიული მონაცემები (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;

5. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარიამ ქებურია



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2017 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი
სამეცნიერო საგრანტო კონკურსის

პროგრამა და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობები არეგულირებს თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამართვის, გრანტის გაცემისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგის საკითხებს.
2. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის - ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.
3. 2017 წლის კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

1. თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიზნით, 2018 წლის 15 თებერვლამდე, თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ელექტრონულ სისტემაში (მისამართზე uidb-pbs.tubitak.gov.tr) ერთობლივი კვლევითი პროექტი ინგლისურ ენაზე უნდა წარადგინოს საქართველოს მოქალაქე მეცნიერთა ჯგუფმა და თურქეთის მეცნიერთა ჯგუფმა.